

დაცულისა



ჩემი ხატია სამშობლო
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მთავრობის

საკართველოს მთავრობა კავშირის ზოვალის გაზითი

კარასევი, 19 იანვარი,

№ 42 (2770) გამოცემის 58-ე რაი, 1990

ფასი 20 გრ.



პირველი გვირევა

წელი და კონცერტი: გამოიწვია გაზითი „ლიტერატურული საკართველო“.

შეგასენები, რომ ხელმოწერა ვლედება „ცოდნების“ კველა განცოცილებაში გამოიწვია.

გაზითის ფასი: 1 ჭური ... 20 გვ. 80 კპ., 6
თვით ... 10 გვ. 40 კპ., 3 თვით ... 5 გვ. 20 კპ.

მუსიკა ლიტერატურა

დამიღება იმპერია..

დამწიფდა იმპერია, —
გადამწიფდა და სულსა დაფავს, —
რა დამწიფდება,
ლელვი ხისძირ მოადენს ტკაპანს...

არათუ ბრიყემა,
გულუბრყევილო საბრალო ბალლებმა,
სუსტმა, ბითურმა,
ავდებულმა აბუჩად ჩალხებმა,

დაშლით, დარღვევით
იმის, რასაც სიბერე ამხობს,
ხომ შეიძლება,
თვით რუსეთმაც
ხეირი ნახოს?!..

დაშლის, დარღვევას,
ამ სიხარულს, ამ ზეიმს დღეის,
„გაშას“ და „ურას“;
ამ ჭრელ დროშებს, ამ თვალის სეირს —
საერთო ხეირს
გაუმარჯოს,
საერთო ხეირს!

1990

დამსადარან, უნ აარ გატონი,
აათო საპის გუგუჩი!

გაზაფხულია, ქაცები,
სულს გაზაფხული ახარებს,
სიხარულისგან ვწითლდებით,
ვყვითლდებით, მერშე ვლურჯდებით...
კვირტები კი არ დამსკდარან,
ევროპს, აფრიკეთს, ავღანეთს
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები...

ირგვლივ ჭაშები ამტყდარან,
ხელები — ტაშით დამსკდარან,
ტრანსპარანტებით დავდივართ,
დავალთ, ქუჩებში ვეჭუჩდებით...
ბრუნვას სოფლისას ჩამხვდარან,
გაშტერებულა დამსხდარან,
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები...

ვაშა! — ფარ-ხმალი დაჰყარეს,
ყველგან — სანგრები აჰყარეს,
ხალხებს თავსდგომა აქმარეს —
მეტის ლენინისგან ვმუნჯდებით...
მსოფლიო შვებით ხარხარებს:
ევროპს, შტატებს თუ ავღანეთს
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები...

1990

„დედუშა პლაჩეტ...“

ავხსნათ (არაერთს)
შეტემულების კუმლისას ტაბუ...
გამოცალა
ხრუშჩივს სკამი ბრეჭევმა მარჯვედ...
შვილიშვილს ჰეითხეს
ხრუშჩივისას: რას იქმსო ბაბუ?
ბალმა. მიუგო
მოწყენილად: — „დედუშა პლაჩეტ...“
ვაი, სირცევილო,
ჩაგიბნელეს ნათელი დილის,
ვაი, სირცევილო,
რა ჭაშები ჩვენ შენთვის ეხარჯეთ!
ვაი, სირცევილო,
იმპერიის გვერდებილი ტირის —
გაგთქვა, გაგყიდა
ბრიყემა: — „დედუშა პლაჩეტ...“
ხარ წიკიტუშა!
კაცი იყავ, დღეს გროში ლირხარ!
ჩამლაშე და
ჩაგიმლაშეს ათასგზის მლაშედ...
მოჩვარულხარ და
საათობით ყრუმუნჯად ზიხარ —
შურით და ბოლმით,
მძულვარებით — „დედუშა პლაჩეტ...“
ვლიან დღები
უცნაური ამ რუსი ხალხის...
(ჩვენ ისტორიის
მიუღოველ მსაჯულად დაგრჩეთ!)
ახსოვდეთ ტახტებს
გულუბრყევილო სიტყვები ბალლის:
„დედუშა პლაჩეტ...“

1990

ახალი ლიტერატურა

გრანატის ქუჩა

დილა. გათენდა დღე საყვარელი
აქ, ჩვენს თბილისში, სიურბიშის არ ელი
და, უცბად, — აბრა ძელისძველ ქუჩის,
ახალი აბრა —
ქუჩა გრანელის...

საშუალი ტერენტი!
ის ცხოვრებამ დასტოვა სახტად,
აქ იყო მისი
თბილისური ცხოვრების ბოლო...
უფულ-უბურო
ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ნალდად,
აქ ექნებოდა
იმ უბედურს დამპალი სორო...

უბრუნდებოდა
კვირკველია ტერენტი გვიან
ქუჩას, ამ დილით
რომელს ქურთის ქალები ჰგვიან,
წელიწადია
ათას ცხრას ოთხმოცდაათი —
ქუჩას, სახელად
დღეს გრანელის სახელი ჰგვიან...
გრანელის ქუჩას გაპურებს თვალი,
ასცერის თვალი გრანელის აბრას...
ასე თუ ისე მოხდილია, ბატონი, ვალი —
დილუბის მიწაც
ხომ ვალირსეთ
პოეტის საფლავს!

1990

რუსის გენერალებს

თქვენი ჭარები — ხსენებული
სამშობლოში ათასგზის გმირად!
თქვენი გვარები — წერებულა.
უმაღლესის. ბრძანებებში
ხშირად და ხშირად!
ახლა რას პგავხართ?! —
არ უფერის პოეტი თვალებს —
დამსგავსებისართ
დღეს სახორცელ
დასაკლავ ხარებს...
ოდესშე გმირნი, დღეს რას პგავხართ,
რას ბეუტურობთ და რაებს პბედავთ?!

დღეს ომს იქით და
რუსეთს იქით
ვერაფერს ხედავთ!!!

1975

ალექსო ზენგალიას ძების,
ილია ზენგალიას გამო

გამოტყვრა ტყვეობის ჯურლმულიდან,
მოდგა და სამშობლოში მოეტია, —
მოვიდა „ჩელადან“, „ურმულიდან“,
არ მითქვემს, ეგ ვითომც გოეთე!

მაგრამ დიდია თუ პატარა,
თუკი პოეტია — ხომ ღმერთია!
რაკი სისხლის წვემით დამთვრალა
და რაკი სისხლს ანთხევს — პოეტია!

დაპყეფდა გრიგალი გამწყრალი, —
ჩემებრ ნათერევი და ჩემფერია...
სახელად — ილია საშუალი,
გვარად —

ძმაა ჩვენი — შენგელია!

1990

ხოლო ჩარჩაზი...

ჩემ ბათალბეგ,
რაფრად ავხსნათ ეს ძელი საქმე,
აკეთებიური
რომ სისხლს გვწოვდა ათასი ვირთხა,
ხოლო ჩვენები, —
დაე, ითქვას მადლობით იქვე, —
უშემოვებული
ვიყავით და, სულ მხარში გვიდგა?!

დღემდე, გრძელდება
ძმობის, მტრობის ძელი ძაფები!
იყო მზადყოფნა
ძელთა ჩვენთა ძახილის ხმაზე!
ერთს გასახებდნენ
კურთხეული ჩვენი პაპები
და ცხენებოდა ჩვენები წამსვე...
არაერთ ომში
მკვდარი მკვდარზე ბორცვად დახორდა,

ქართულის გვერდით
ჩერქეზული ღროშაც დაქქორდა,
თუ გვერდით ვერცხლი,
ხომ კარგი და, როცა არ გვერდით,
ალაფს ვიყოფდით,
ნაალაფრით თავი გაგვერდით...

ძმაო, ჩერქეზო!
მასევიან ღრესაც მარლები, —
მხერხევნ და მჩხერენ,
როგორც მჩხერეს და როგორც მხერხეს...
როგორც ეტყობა,
ერთი ფესვის ჩვენ ვართ ხალხები,
როგორც ეტყობა,
ვეკუთვნით ერთ ტყეს...
ახალს არა გთხოვ,
ძველზე გიხდი მადლობას, ჩერქეზი!

1990

ლერმონტოვზე წიგნებს წერდა,
რუსის საქმეს უდგა მუშად,
ნამუსრევი ძელთა ჩვენთა
ქართულ სისხლზე გახლდათ უუჩად!
საქმე სანანური მოხდა,
ჯიშა ჩაუარა ფუჭად:
ცოტა უხერხულად მოკვდა —
ქართველი იყო — მოკვდა რუსად.

1990

უჭირთ ქართული,
უჭირთ საშუალებს ამოთქმა გრძნობის,
რამდენი უკითხავთ!
რამდენს გრძნობენ და რამდენს ბრძნობენ!..
როგორც მშობელს დაბადებით ყრუ-მუნჯი შვილი,
ბლუ, ენაბრგვილი
პოეტი მეცოდებიან...
1990

...და უცბად... სახეში დაგეჯახა,
(პეპელა იყო და ქვა გეგონა...)
„გაზაფხულიანი!“ — დაგიძახა,
გახტა და ფარფატით ჩაგიქროლა...
ცომ იწყო ისიტრად შეფერვა,
მზე მთაზე გადმოდგა საყვირებით...
გაზაფხულს და პირველ პეპელას
გასცერდი პოეტი გაკირვებით...
1990

პატარა დედაჩები...

ოთხმოცდამეცხრე წელშია
პატარა დედაჩები,
შვიდი წელია, — ბნელშია,
თვალთაგან სწვეთავს ცრემლი...
ხშირხშირად იტყვის: „წესია,
მე წვალ, შენ დარჩები...“
გონი გრძნობს, წასვლა ერჩია,
თვალებიც ხედავს ჩემი...
„ღმერთო, მოგვხედე კეთილად! —
მანიც ღმერთს ვეგაჭები, —
მიცოცხლე ჩემი დედილა,
პატარა დედაჩები!“
1990

ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
გაწითლებაზე
მსოფლიოს
იტყვის რა
უარს, —
თავს დაანებებს დერეიმორდულ ამპარტავნებას,
სხვა ხალხებისთვის
თითის ქნევას,
ჭკუის სწავლებას,
მოეშვება რა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას,
სხვის მიწაშუალზე
განსახლებას,
ფესვის გადგმას,
მოკლედ —
დაპყრობას,
დაეტევა რა თავის სახლში და თავის ტყავში,
ვინ გვეყოლება,
თუ კაცი ხარ,
ხვალ მაგის
ფასი...
ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
გარუსებაზეც
დღეს ჩვენსაზე
თუ იტყვის უარს!!!
1990

